საქართველო

8666-01-2-201703101847

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/8666
10/03/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ნინო ბერძულს**

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 4 აპრილს, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ფარგლებში, ქ. ვაშინგტონში, გაიმართება ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის (EWG) მორიგი შეხვედრა. ამერიკული მხრიდან აღნიშნული შეხვედრის თანათავმჯდომარეები იქნებიან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველი მოადგილე, ქალბატონი პატრიცია ჰესლეჩი და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი მარგო ელისი.

მიმდინარე წლის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგმა მცირე ცვლილება განიცადა, რაც გულისხმობს შესავალი/პირველი ნაწილის ერთსაათიან, ხოლო სამუშაო/მეორე ნაწილის სამსაათიან ხანგრძლივობას. ამერიკული მხარის ინიციატივით, შეხვედრის ჩატარებამდე, დაგეგმილია ერთობლივი დოკუმენტის, ,,Milestones and Accomplishments" მომზადება, სადაც, მოკლე ნარატივის სახით, აისახება გასული წლის მნიშვნელოვანი თემატიკა და საკითხთა მიმდინარე სტატუსი. შეხვედრის ძირითადი დრო დაეთმობა 2017 წლის აქტუალურ თემებს, რომელთა განხილვა მხარეებს მიაჩნიათ მიზანშეწონილად.

გთხოვთ, მ.წ. 15 მარტამდე, მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები შეხვედრის დღის წესრიგთან დაკავშირებით და იმ ძირითადი საკითხების მოკლე ანოტაცია, რომელთა ასახვასაც მიზანშეწონილად თვლით დოკუმენტში ,, Milestones and Accomplishments."

ამასთანავე, გთხოვთ, გვაცნობოთ სამუშაო ჯგუფში თქვენი უწყებიდან მონაწილეთა ვინაობა, ასევე, ღონისძიების მოსამზადებელ ეტაპზე პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია.

აქვე გაცნობებთ, რომ ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის წინა მოსამზადებელი უწყებათაშორისი თათბირი გაიმართება მ.წ. 14 მარტს, 14:00 საათზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში და მას გაუძღვება საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე, ბატონი დავით ზალკალიანი. აქედან გამომდინარე, სასურველია, შეხვედრაზე უწყებები წარმოდგენილი იყვნენ მინისტრის მოადგილეების დონეზე.

საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროდან საკონტაქტო პირია ამერიკის დეპარტამენტის აშშ-კანადის სამმართველოს პირველი მდივანი, მარიამ ლებანიძე (მობ.: 5 58 824 824 / ელ.ფოსტა: mlebanidze@mfa.gov.ge).

<u>დანართი</u>: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით, ,
დავით დონდუა

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი